ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ქ. ბათუმი

08/11/2019

1365-25-4-201911081742

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 1365

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულ „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში ასიგნების, საპროექტო განაცხადების განხილვის, შერჩევის და გამოვლენის ვადების დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 11 ოქტომბრის №1230 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრულ „მონაწილეობითი ბიუჯეტის მხარდაჭერა" პროგრამის ფარგლებში ასიგნების, საპროექტო განაცხადების განხილვის, შერჩევის და გამოვლენის ვადების დამტკიცების შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 11 ოქტომბრის №1230 ბრძანებაში შეტანილ იქნას ცვლილება:

1.1. ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ონლაინ პლატფორმის (idea.batumi.ge) მეშვეობით წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების განხილვისა და შერჩევის ვადები განისაზღვროს 2019 წლის არაუგვიანეს 25 ნოემბრის ჩათვლით.

გ) მონაწილეობითი ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად საუკეთესო საპროექტო განაცხადების გამოვლენის ვადები განისაზღვროს 2019 წლის 26 ნოემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით.“

1.2. ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეთხოვოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უზრუნველყოს არაუგვიანეს 2019 წლის 25 ნოემბერს არაუმეტეს

ათი პროექტის შერჩევა, მონაწილეობითი ბიუჯეტის პლატფორმაზე ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მიზნით.“

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი